# მოხდება ის,
# რასაც ის იტყვის – უბედური
# შემთხვევა და ბედისწერა



# მოხდება ის, რასაც ის იტყვის–უბედური შემთხვევა და ბედისწერა



muslim georgia
muslim georgia international charity foundation



muslim georgia

გამომცემლობის მმართველი:
დრ. იუქსელ სალმან

მწერალი:
აიშენურ ჩალიქჩი

მხატვარი:
ოსმან თურჯან

კოორდინატორი:
დრ. ომერ მენექშე

რედაქტორი:
ელიფ არსლან

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მეჰმეთ ერდოან

გრაფიკის დიზაინი:
ლოქომოთივ ჯ.ა.

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძემ

ქართული გრაფიკა:
ბილალ ილქაი



muslim georgia
muslim GEORGIA international charity foundation

# მოხდება ის, რასაც ის იტყვის – უბედური შემთხვევა და ბედისწერა

რსს
გამომცემლობა



# სარჩევი


ალლაჰი რასაც იტყვის, ის მოხდება ........ 7

საკითხავი მასალა: ჰაზრეთი მუსა და ჰიზირი ........ 15

ვიშრომებ, ალლაჰის დახმარების მჯერა ........ 21

საკითხავი მასალა: მოდუნებული ნუ წევხარ ........ 29

ალლაჰმა ყველაფერი იცის ........ 31

საკითხავი მასალა: განსაცვიფრებელი პასუხი ........ 35

ყველაფერში არის რაღაც სარგებელი ........ 37

შევევედრები და შედეგს
მოთმინებით დაველოდები ........ 43




# ალლაჰი რასაც იტყვის, ის მოხდება

აჰმეთი მამასთან ერთად დიდი კარის გავლით შევიდა შიგნით. ძალიან დიდი შენობა იყო. ბაბუასთან ერთად ადრეც მივიდა, ბიძის დასახვედრად. დღეს ხალხმრავლობა იყო. მაცარებლიდან ჩამოსული დედები, ბიძები აქეთ–იქით დარბოდნენ.... ადამიანები, რომლებიც სიხარულით ეხუცებოდნენ ერთმანეთს... აჰმეთი მამასთან ერთად სკამზე ჩამოჯდა და იმ მაცარებელს ელოდა, რომელსაც დედა უნდა მოეყვანა.

მამა ბუფეტში მივიდა გაზეთის საყიდლად, რომელიც მათთან ახლოს იყო. აჰმეთი ირგვლივ იყურებოდა და ერთ კუთხეში რამდენიმე ადამიანი დაინახა, რომლებიც ერთმანეთს ეხუცებოდნენ და ტიროდნენ. წამოდგა და მათკენ წავიდა. მათ საუბარს დაუგდო ყური. არადა მასწავლებელს გაეფრთხილებინა, რომ სხვისი საუბრისთვის არ მოესმინა. თუმცა აჰმეთმა მათ ტირილს ვერ გაუძლო. ცდილობდა გაეგო რა ხდებოდა. ცოტა ხანში გაიგო თუ რატომ ტიროდნენ. ახლობელი გარდაცვლოდათ. დამწუხრებული ხალხის მასა უცებ კარისკენ გაემართა. ტირილმა იმატა. აჰმეთმა კარისკენ მიაპყრო მზერა და დაინახა, რომ ხელით პაცარა კუბო მოჰქონდათ. გაოცებული და შეშინებული თვალებით უყურებდა მომხდარს, როდესაც მამის ხმამ გამოაფხიზლა:

–აჰმეთ, შვილო...

მამამ აჰმეთი იქ ვერ იპოვა, სადაც დატოვა. აღელდა და მისი მოძებნა დაიწყო.

ირგვლივ მომხდარმა ამბავმა მამაც დააინტერესა.

–რა მოხდა აჰმეთ? –ჰკითხა.

–არ ვიცი მამა, ეს ხალხი ტირის, –თქვა ხმადაბლა. მამამ თავზე გადაუსვა ხელი და უთხრა:

–ახვალე გავიგებთ, შვილო.

ხალხმრავლობაში ერთ–ერთ მოხუცს ჰკითხა:

–მწუხარების მონაწილე ვარ. თქვენი ახლობელი გარდაიცვალა?

–მადლობა შვილო. შვილიშვილი დავკარგე. მხოლოდ ხუთი წლის იყო. მოულოდნელად ავად გახდა და ვერ გადავარჩინეთ.

აჰმეთმა უკვე გაიგო ამდენი ხალხის აქ შეკრების მიზეზი. უცნაურ გრძნობებს მოეცვა. პირველად შეხვდა ასეთ სიტუაციას. უამრავი კითხვა დაუგროვდა. ასე პატარა რატომ გარდაიცვალა?



მოხუცი ბებიები და ბაბუები არ უნდა კვდებოდნენ?

მამას აჰმეთისთვის აეხსნა, რომ ჩვენ გამჩენ ალლაჰს ბავშვები ძალიან უყვარს. მაშ ალლაჰმა რატომ დააშორა ეს ბავშვი თავის საყვარელ დედასა და მამას? მშობლებს ამხელა განსაცდელი რატომ არგუნა? არ იცოდა ამ კითხვებზე პასუხი. ხელმა, რომელიც მამამ მხარზე დაადო, ამ ფიქრებს მოსწყვიტა.

–წავედით შვილო, დედა მოვიდა.

შორიდან დანახულმა დედის მომღიმარმა სახემ აჰმეთს ცოტა ხნის წინ განცდილი შიში და მწუხარება დაავიწყა. გაიქცა და დედას კისერზე ცირილით მოეხვია. დედა მის დამშვიდებას ცდილობდა.

–ჩემო ძვირფასო, რა ძიერ მოგნაცრებივარ. მეც ძალიან მომენატრე, ჩემო პატარავ.

სახლში წასასვლელად მანქანაში ჩასხდნენ. მთელი გზა მშვიდად იჯდა აჰმეთი. დედამ მის ამ სიმშვიდეს ახსნა ვერ მოუძებნა. სახლში რომ მივიდნენ, აჰმეთმა მამას უთხრა:

–ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები მაქვს შენთან.

მამამ უპასუხა:

–კარგი შვილო, ოღონდ ჯერ დედას დაველაპარაკოთ. გავიგოთ როგორი დრო გაატარა. ნუ ჩქარობ.

დედა აჰმეთის ამ უცნაური მდგომარეობის მიხვედრას ცდილობდა. მამამ დედას ისე გახედა, თითქოს უთხრა, მე აგიხსნიო. ვახშმობისას დედამ თავის სამშობლოში მყოფ ახლობლებზე და იქ გატარებულ დღეებზე ვრცლად ისაუბრა. ივახშმეს. აჰმეთი

ვერ ითმინა, სასწრაფოდ უნდოდა ეკითხა მამისთვის ყველაფერი. მაცარემლის საძგერში მომხდარმა ამბავმა, აჰმეთი დაამნია. სიმართლე რომ ვთქვათ, დამწუხრდა კიდეც...

მამამ თქვა:

–"ინნა ლილლაჰ ვე ინნა ილეიჰი რაჯიუნ."

აჰმეთი მამის ნათქვამმა სიტყვებმა დააინტერესა. აქამდე მამისგან სხვა ვედრებები მოესმინა. ცოტა ხნის წინ მოსმენილი კი არ ეცნო. მის გამოხედვაში ინტერესმა მოიმატა. ეს რას ნიშნავდა?– მამას ჰკითხა:

–მამა ,რა თქვი ცოტა ხნის წინ? არასდროს მსმენია ასეთი რამე გეთქვას.

–შვილო ვინმე რომ გარდაიცვლება ასე უნდა შევვედროთ. ეს ნიშნავს: "ალლაჰისგან მოვედით და ისევ ალლაჰს დავუბრუნდებით."

–მამა შენ ადრე ხომ მითხარი, რომ ალლაჰს ბავშვები და ყველა ადამიანი უყვარდა? თუ ასეა, მაშინ ალლაჰმა რატომ ისურვა პატარა ბავშვის სიკვდილი?

მამამ მოკლედ უპასუხა: "ბედისწერა." როგორც კი მიხვდა, რომ აჰმეთმა ვერ გაიგო, აუხსნა:

–ჩემო აჰმეთ, ალლაჰმა იცის ყველა ადამიანის ცხოვრება და ის თუ რა გადახდება ცხოვრებაში. წინასწარ იცის როდის დავიბადებით



და მოკვდებით, აფასებს როგორც მოხდება. იცის როგორ ვიცხოვრებთ. ჩვენ არ ვიცით კარგია თუ ცუდი, რაც შეგვემთხვევა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვფიქრობთ ცუდი რამეა, მაგრამ მის უკან კარგი და სასიკეთო იმალება.

–ეს როგორ? –ჰკითხა აჰმედმა, –ბავშვის სიკვდილში რა შეიძლება იყოს კარგი?

–რა თქმა უნდა ჩვენთვის იმ პაცარა ბავშვის სიკვდილში არაფერია კარგი და მარცხივი. თუმცა ზოგიერთი რამის შეცვლა ჩვენს ძალებს აღემატება. ისევე როგორც სიკვდილის. უნდა ვიცოდეთ, რომ სიკვდილი გამოცდაა.

–მამა ეს გამოცდა ვისთვისაა?

–ყველასთვის. იმ ბავშვის დედის, მამის, საყვარელი ადამიანებისა და მისთვისაც კი... ალლაჰისთვის სიდიადის წინაშე თავის დახრის გამოცდაა, რომელმაც სიკვდილი გვიბოძა. სიკვდილის დრო და ადგილი უცნობია. სწორედ ამიტომ, ყველამ კარგი საქმე უნდა აკეთოს, თითქოს ხვალ უნდა მოკვდეს.

–მამა ის პაცარა ბავშვი ხომ უცოდველი იყო? რომ ეცოცხლა, შეიძლება კარგი საქმეები ეკეთებინა. ნუთუ ეს ალლაჰმა არ იცის?

–როგორ შეიძლება ეს ალლაჰმა არ იცოდეს. მან ყველაფერი იცის და ყველაფერს ხედავს. იმ წვალებისთვის, რომელიც ავადმყოფობისას ბავშვმა გადაიტანა, ალლაჰი მას დააჯილდოებს. კარგი აჰმედ, დიდი დრო გასულა. დედა ახლახანს დაბრუნდა. დაიღლებოდა. მოდი დავწვეთ.

–კარგი მამა, –თქვა აჰმედმა და დედასა და მამას აკოცა.

თახსინკენ რომ მიდიოდა მამასთან საუზმეზე ფიქრობდა. თავისთვის ლაპარაკობდა, ჩვენ ზოგიერთი რამის მიზეზი არ ვიცით, ალლაჰმა უკეთ იცის ყველაფერი. თავი მალიშზე რომ დადო, უკეთ იგრძნო თავი. ცუდ რამეებს, რომლებიც ჩვენს თავს ხდება, შეიძლება კარგი მხარეც ჰქონდეთ. ზოგიერთი რამ, რაც ჩვენ კარგი გვგონია, შეიძლება ცუდიც იყოს, ფიქრობდა და ამაზე ერთი ამბავი გაახსენდა, რომელიც მას გადახდა.

შარშან, ზაფხულის ერთ-ერთ დღეს მშობლებთან ერთად ლუნაპარკში უნდა წასულიყო. აჰმეთი იმ დღეს მოუთმენლად ელოდა. ის დღეც დადგა. წასასვლელად ემზადებოდნენ და უცებ მოულოდნელი რამ მოხდა. მათ სადარბაზოში წყლის ერთ-ერთი მილი გასკდა. იმის გამო, რომ მამა სადარბაზოს მმართველი იყო, ვალდებული იყო მიეხედა. თქვენ მე დამპირდით, დაქინებით მოითხოვდა აჰმეთი წასვლას. მშობლები ეცადნენ მისთვის მდგომარეობა აეხსნათ. დედა ეუბნებოდა, რომ ამაშიც იქნებოდა რამე სასიკეთო. უთხრა, რომ შემდეგისამებრ უმოკლეს ვადაში წავიდოდნენ, მაგრამ არ უნდოდა დათანხმება. იტირა კიდეც. ოცნება დაემსხვრა. სახლში მოწყენილი და დაღვრემილი იჯდა, კარის ზარმა რომ დარეკა. კარი რომ გააღო, ემრე დაინახა მშობლებთან ერთად.



ვერ მიხვდა რა ექნა, ისე დაიბნა. ემრე აჰმედის ყველაზე ახლო მეგობარი იყო. ქუჩაზე მათი სახლები ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს იყო და სკოლაშიც ერთ მერხზე სხდებოდნენ. თუმცა წლის დასაწყისში ემრეს მამას სხვა ქალაქში მოუწია გადასვლა. ცოტა ხანში კი გადაბარგდნენ. თითქმის ერთი წელი იყო გასული, რაც აჰმედს მეგობარი არ ენახა. მცირე ხნის გაკვირვების შემდეგ, ამხანაგს გადაეხვია. შიგნით შეიპატიჟა. ემრემ უთხრა:

–მშობლიურ ქალაქში მივდიოდით და გვიდოდა თქვენთან შემოგვევლო და გვენახეთ. სიურპრიზის გაკეთება გვინდოდა და წინასწარ არ გაგაფრთხილეთ.

აჰმედი მათ უსმენდა და დედის სიტყვები გაიმეორა: იქნება ამაში რამე სასიკეთო. ამაზე ფიქრში ცბილად ჩაეძინა.

## დაიმახსოვრეთ

"ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნებადართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკვიდრეობაში ქალები . ან შეავიწროოთ იმისათვის, რომ წაართვათ, რაც მიგიციათ მათთვის, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. მოეპყარით მათ ღირსეულად. თუ თქვენ ისინი გძულთ, იქნებ გძულდეთ რამე, ალლაჰს კი დიდი სიკეთე ჩაუდოს მასში! (ნისა 19)



muslim georgia

## საკითხავი მასალა:

## ჰაზრეთი მუსა და ჰიზირი

ერთ დღეს ზღვის სანაპიროზე ჰაზრეთ მუსას ჰიზირი შემოხვდა. გაიცნეს ერთმანეთი და ისაუბრეს. ჰაზრეთ მუსას ძალიან გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ ჰიზირი ყველასთვის გამოუცნობ საიდუმლოებებს ხედებოდა.

–რაც იცი მეც მასწავლი? –ჰკითხა, –მინდა შენთან ერთად ვიმოგზაურო.

ჰიზირმა უპასუხა:

–შენ ჩემ გვერდით ვერ გაძლებ, რადგან ჩემი გაკეთებული საქმეების ნამდვილ მიზეზს ვერ გაიგებ. თუ გაძლებ წამოდი.

ჰაზრეთ მუსამ უთხრა:

–გავძლებ, არაფერში შეგეწინააღმდეგები.

ჰიზირმა უთხრა:

–თუ ჩემთან ერთად გინდაყოფნა, სანამ მე არ აგიხსნი, არ უნდა მკითხო არაფერი.

ჰაზრეთმა მუსამ მიიღო ეს პირობა.

ერთად წავიდნენ სამოგზაუროდ. ზღვის ნაპირას მივიდნენ. გემი დაინახეს, რომელიც გასვლას აპირებდა. მასზე ასვლა სურდათ. მეზღვაურები ყველას გემზე ასვლის უფლებას არ აძლევდნენ, მაგრამ ისინი აუშვეს.

ჰიზირს ხელში ლურსმანი ჰქონდა და ზღვაში რომ გავიდნენ, გემის შუაში ხვრელის გაკეთება დაიწყო. ჰაზრეთი მუსა შეშფოთდა და ჰკითხა:

–გემის ჩაძირვა გსურს?

ჰიზირმა უპასუხა:

–მოცემული სიტყვა დაივიწყე, ხომ უნდა მოგეთმინა?

ჰაზრეთ მუსას მიცემული პირობა გაახსენდა და გაჩუმდა.

–აღარ ჩავერევი, –უთხრა.

გემი პორტს მიუახლოვდა და ჩამოვიდნენ. სიარულისას თავისთვის მოთამაშე ბავშვი დაინახეს. ჰიზირმა ის ბავშვი მოულოდნელად მოკლა. ჰაზრეთი მუსამ ვერ მოითმინა და უთხრა:

–ეს უცოდველი ბავშვი რატომ მოკალი? ძალიან ცუდად მოიქეცი.

ჰიზირმა მშვიდად უპასუხა:

––მე გითხარი, რომ ჩემთან ვერ გაძლებდი. მოცემული სიტყვა ისევ დაივიწყე.

–კარგი, არ ჩავერევი, –უთხრა მუსამ და გაჩუმდა.

გზა გააგრძელეს და ერთ სოფელს მიადგნენ. არც საჭმელი ჰქონდათ და არც ფული. მოშივდათ. ამ სოფელში კი, უფულოდ არავინ არაფერს მისცემდა.

სიარულისას კედელი დაინახეს, რომელიც სადაცაა ჩამოიშლებოდა. ჰიზირმა წყალი და მიწა შეურია და ამ ტალახით მის შეკეთებას შეუდგა. ჰაზრეთი მუსა მიეხმარა და არაფერი უკითხავს.

კედელი რომ გაამაგრეს, ჰაზრეთ მუსამ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

–მშივრები ვართ, ფულიც არ გვაქვს. შენ კიდევ კედელს ამაგრებ. ამ საქმეში ფულს არ მოითხოვ?

ამაზე ჰიზირმა უპასუხა:

–ჩვენი განშორების დრო მოვიდა. უკვე მესამეჯერ მოხდა. მოცემულ პირობას არ ასრულებ და კითხვებს მისვამ. ახლა მომისმინე:

–გაიხსენე, გემის გახვრეტას ვცდილობდი. ამის მიზეზი ისაა, რომ ის გემი ღარიბი ვაჭრების საკუთრება იყო. იმ პორტში სადაც უნდა მისულიყვნენ, მბრძანებელი მმართველი იყო. ეს მმართველი გამართულ გემს ძალით ართმევდა მფლობელებს. ალლაჰმა ამ გემის გახვრეტა მიბრძანა და მეც გავხვრიტე. ასე რომ ღარიბების გემი ნაკლული იქნება და მის პატრონს დარჩება.



ჰაზრეთმა მუსამ უთხრა:

–მართალი ხარ, მე ეს არ ვიცოდი. და იმ პაწარა ბავშვს რა ცოდვა ჰქონდა? ის რატომ მოკალი?

ჰიზირმა უპასუხა:

–იმ ბავშვის მშობლები ძალიან კარგები და კეთილები იყვნენ. ბავშვი კი რომ გაიზრდებოდა ურწმუნო იქნებოდა და ხალხს ცუდად მოექცეოდა. ალლაჰი იმ ბავშვის მშობლებს უკეთესს გამოუგზავნიდა. განკითხვის დღეს მათი შვილებით კმაყოფილი რომ ყოფილიყვნენ, ისურვა რომ მომეკლა. მე ეს ალლაჰის სურვილის გამო გავაკეთე.

ჰაზრეთმა მუსამ უთხრა:

–მაშ კედელი რატომ შეაკეთე? ჩვენ მშივრები ვიყავით და ამის მიუხედავად აქაურმა ხალხმა არაფერი მოგვცა. კედლის შეკეთების სანაცვლოდ ფულიც არ მიგიღია.

ჰიზირმა უპასუხა:

–ის კედელი სოფელში მცხოვრებ ორ ობოლ ბავშვს ეკუთვნოდა. იმ კედლის ქვეშ მათი მამის დაცოვებული განძი იყო. ალლაჰს მათ გაზრდამდე იმ განძის დამალვა სურდა. სხვა შემთხვევაში კედელი ჩამოინგრეოდა და განძი გამოჩნდებოდა. ბავშვები პაწარები არიან და მას ვერ დაიცავდნენ. მე ის გავაკეთე რაც ალლაჰმა ისურვა.

რაც გავაკეთე ჩემი სურვილით არ გამიკეთებია. ალლაჰმა ასე მიიჩნია საჭიროდ, მიბრძანა და მეც გავაკეთე.

აი ესაა იმის ახსნა, რისი დანახვაც ვერ მოითმინე.

ჰაზრეთი მუსა ალლაჰს მადლობას უხდიდა, ჰიზირი რომ გააცნო. მან ჰიზირისგან ბევრი რამ ისწავლა: ის რომ ცხელ გულზე არ უნდა გაბრაზდე, უნდა მოითმინო. მიხვდა, რომ არასწორია, როდესაც გგონია ყველაფერი იცი. გაიაზრა, რომ ყველაფერი რაც ცუდად ჩანს, სინამდვილეში არაა ცუდი. მიხვდა, რომ სრული სიმართლე მხოლოდ ალლაჰმა იცის და მოვლენებს ის გვგმავს ყველაზე კარგად.

ჰაზრეთმა მუსამ ირგვლივ მიმოიხედა და შეამჩნია, რომ ჰიზირი გამქრალიყო. "მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ალლაჰმა იცის." –ხმადამლა თქვა.





# ვიშრომებ, ალლაჰის დახმარების მჯერა

აჰმეთი ყვავილის სუნმა გამოაღვიძა, რომელსაც ოთახი მოეცვა. სასწრაფოდ ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა. დანდისთან ერთად დროს ატარებდა. დანდი მის ძაღლს ერქვა. ძალიან პატარა იყო, როცა იყიდეს. თავს უხერხულად გრძნობდნენ, რადგან მისი პატრონი ყოველ დღე სცემდა. ერთ დღესაც დანდი პატრონმა აჰმეთის მამას დაუტოვა რამდენიმე დღით. იმ დღის მერე აჰმეთის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. აჰმეთის ძაღლი ცოტა მშიშარა იყო. ადამიანების ეშინოდა. ვინმე უცებ ხელს მაღლა თუ აწევდა, კუთხეში შეიმალებოდა. აჰმეთს დანდი ძალიან უყვარდა. მას დარდს უზიარებდა, ყვავილების სილამაზეზე და ჩიტების ჭიკჭიკზე ესაუბრებოდა. თითქოს ესმოდა...

ამ დილით გულში ამბობდა, რა კარგია დანდი რომ არსებობს, სხვა ვის ვეთამაშებოდით. შემდეგ ჩიტების ხმა შემოესმა, რომლებიც ეზოში ხეზე შემომსხდარიყვნენ. ჩიტების ჭიკჭიკმა გაახარა. სიო ყვავილების სუნს ირგვლივ აფრქვევდა, რომლებიც დედას ეზოში დაერგო. ყველა განსხვავებულად ლამაზი იყო. ალლაჰმა ყველაფერი რა ლამაზი შექმნა, –გაიფიქრა. დაინახა, ვაშლის ხე რომელიც ბაბუას წინა წელს დაერგო, უკვე ვაშლები მოესხა. ძალიან გაუხარდა. ვაშლის ხეზე ატამი ან ბალი რატომ არ იზრდებოდა? მხოლოდ ვაშლი რატომ იზრდებოდა?

მზე სულ აღმოსავლეთიდან რატომ ამოდიოდა და დასავლეთით რატომ ჩაესვენებოდა? ყოველ ზამთარში რატომ თოვდა? შემოდგომაზე ხეებს ფოთლები რატომ



ცვიოდა? როგორც მეცნიერების გაკვეთილზე ისწავლა, წყალი მუდამ 100 გრადუსზე დუღდა. სულ 100 გრადუსზე რატომ დუღს? აჰმეთი ფიქრობდა, რომ ყველაფერი რაღაც გეგმის მიხედვით იყო დაგეგმილი. მან, ვინც ეს გეგმა შექმნა, წინასწარ იცოდა რა მოხდებოდა. ეს ნაცნობი რამეები, ჩვენ რატომ არ ვიცით? –თქვა. შემდეგ ჩაფიქრდა: რომ მცოდნოდა ჩვენი ეზოს წითელი ვარდი როდის გაიშლებოდა, ყოველ დღე არ მოვრწყავდი და მის კოკორს არ მოვეფერებოდი. რომ მცოდნოდა ვარდი როდის აყვავილდებოდა და ვაშლი როდის გაწითლდებოდა, ამავე მოუთმენლობით არ დაველოდებოდი. ყველაფერი თავის სილამაზეს დაკარგავდა. ლოდინიც კარგია, –ჩაილაპარაკა თავისთვის. უკვე იცოდა, რომ ყველაფერს თავისი დრო ჰქონდა. მიხვდა ზოგიერთ რამეს. დანდის მასთან მისვლის მიზეზიც კი იცოდა. მის პატრონს რომ არ მიეცოვებინა, ასეთი ერთგული მეგობარი არ ეყოლებოდა.



ეზოში სეირნობისას ხვალინდელი გამოცდა გაახსენდა. დანდისთან თამაშს შეეშვა და ოთახისკენ წავიდა.

წიგნებს მიუჯდა, მაგრამ არ უნდოდა მეცადინეობა. თუკი ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია, ხვალინდელი გამოცდის შედეგიც ცნობილი უნდა იყოს. ჩემი ხვალინდელი გამოცდა არ იცის ალლაჰმა? უკეთესია თუ შევცვლები და ხვალინდელ დღეს დაველოდები, –გაიფიქრა.



მეორე დღეს დამწუხრებული წავიდა სკოლაში. მოუსვენრად იყო, მაგრამ მიზეზი არ იცოდა. გამოცდის დრო დადგა. მასწავლებელმა კითხვების ფურცელი თითო-



თითო ჩამოურიგა მოსწავლეებს. აჰმედმა გამოცდის ფურცელი რომ აიღო, თავი ცუდად იგრძნო. კითხვები ძალზე ერთული. არაფერი ახსოვდა, რაც მასწავლებელს ამ თემებზე აეხსნა. გუშინ ეზოში გატარებული სასიამოვნო დღე გაახსენდა. კითხვები არც ისე რთული იყო, როგორც მას ეჩვენებოდა. სირცხვილისგან გაწითლდა. ნეტავ ახსნილი თემები ერთხელ მაინც წამეკითხა. მე ალლაჰს რამდენი შევევედრე, რატომ არ მეხმარება? – თავისთვის ფიქრობდა. აჰმედის ეს მდგომარეობა მასწავლებელს არ გამოჰპარვია. აჰმედთან მივიდა. ძალიან გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ გამოცდის ფურცელზე არაფერი დაეწერა. რადგან აჰმედი წარმატებული მოსწავლე იყო, რომელიც გაკვეთილს ყურადღებით უსმენდა და კითხვების დასმა უყვარდა. ნეტავ აჰმედი ავად ხომ არ გახდა და ამან ხომ არ შეუშალა ხელი მეცადინეობაში? – გაიფიქრა მასწავლებელმა.

ზარის დარეკვამ გამოცდის დასრულება აუწყა. აჰმედმა პირველად გაუწოდა მასწავლებელს ცარიელი გამოცდის ფურცელი. ძალიან შერცხვა. ამ გამოცდაზე დაბალ ქულას რომ აიღებდა, მშობლებს რას ეტყოდა? ნეტავ მემეცადინა. ნახე რა მდგომარეობაში ჩავვარდი, – თქვა.

მეგობრები შესვენებაზე რომ გავიდნენ, მასწავლებელმა აჰმედი იხმო. აჰმედი გაწითლებული მივიდა მასწავლებელთან.



–რა მოხდა აჰმეთ, ავად ხომ არ ხარ? ასეთი არასდროს მინახიხარ. პირველად მომეცი ასეთი გამოცდის ფურცელი. რამემ ხომ არ დაგამწუხრა? ვერ იმეცადინე?

აჰმეთმა არ იცოდა რა ეთქვა. რა უნდა ეთქვა მასწავლებლისთვის? ეზოში ბაღლთან ერთად ვითამაშე. ოთახში რომ მივედი სამეცადინოდ, ვთქვი რა საჭიროა მეცადინეობა, ალლაჰს შევედრები და დამეხმარება, ასე რომ იფიქრა, მასწავლებლისთვის რომ ეთქვა გაუბრაზდებოდა? თავის შეცდომას ხვდებოდა. თუმცა ამ შეცდომაზე კიდევ ერთი შეცდომის დამატება, ცრუილის თქმა, არ უნდოდა. სიმამაცე მოიკრიბა და მასწავლებელს მოუყვა, თუ რას ფიქრობდა. ახსნის დროს დროდადრო მასწავლებელს სახეში უყურებდა, რათა გაეგო ხომ არ ბრაზდებოდა. მასწავლებელი სულაც არ ჰგავდა გაბრაზებულს. უბრალოდ ეღიმებოდა. აჰმეთს გაუკვირდა. მასწავლებელმა მოთმინებით მოუსმინა. შემდეგ კი უთხრა:

–ჩემო აჰმეთ, ასეთი რამ როგორ შეიძლება? შრომის გარეშე, მხოლოდ ვედრებით ზოგიერთი რამ როგორ მიიღწევა? ალლაჰმა რა თქმა უნდა იცოდა, რომ გამოცდა გქონდა. ისიც იცოდა, რომ ამ გამოცდისთვის არ მოემზადებოდი. ალლაჰმა იცოდა, რომ ასე მოიქცეოდი და ამიცომ გარგუნა. ანუ ამ ყველაფერზე შენ ხარ პასუხისმგებელი. შენი მოვალეობა შრომა და გარჯაა, ბოლოს კი ალლაჰზე შევედრება. შენ კი იფიქრე, რომ მხოლოდ ალლაჰზე შევედრებით, წარმატებას მიაღწევდი. ჭრწყილისა და ჭიანჭველას ისტორია იცი. მთელი ზაფხულის მანძილზე ჭრწყილი იწვა, ხოლო ჭიამჭველა ზამთრისთვის საკვებს ეზიდებოდა. ზამთარი რომ დადგა, მთელი ზაფხულის სიზარმაცის საფასური ჭრწყილმა შიმშილით გადაიხადა. მას, ვინც შრომობს, ალლაჰი მიეხმარება. შრომის გარეშე, შენსავით ყველაფრის შედეგის ალლაჰისგან მოთხოვნა სწორი იქნება?

აჰმეთი თავის შეცდომას მიხვდა. აწი მსგავს შეცდომას აღარ დავუშვებ, –დაჰპირდა მასწავლებელს. ამიტომაც მასწავლებელმა საუბარი აღარ გააგრძელა. აჰმეთი

გაერეთ, მეგობრებთან, გაგზავნა. აჰმეთმა მეგობრებთან ერთად ეზოში ირბინა და ითამაშა. ზარი რომ დაირეკა, ყველა საკლასო ოთახისკენ გაიქცნენ. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელმა კლასს მიმართა:

–ბავშვებო, ვიმედოვნებ წინა გაკვეთილზე ჩაცარებულ გამოცდას ყველა წარმატებით ჩააბარებთ. შესაძლოა თქვენ შორის არის ისეთიც, რომლისთვისაც გამოცდამ კარგად არ ჩაიარა. მათ შემდეგი გამოცდისთვის მზადება ახლავე დაიწყონ. წინ გრძელი სასწავლო წელი გველოდება. წარმატების მისაღწევად უნდა გავისარჯოთ. უშრომლად, ალლაჰის დახმარების მოლოდინი არასწორია, ხომ ასეა? თუ იმეცადინებთ და მოითმენთ, ალლაჰი ამის საზღაურს აუცილებლად გადაგიხდით. თუ იცით, რომ შუამავლები, რომლეიც ალლაჰმა ღვიღამბრების სახით გამოგვიგზავნა, პროფესიაც ჰქონდათ? ჰაზრეთი იდრისი მკერავი იყო, ჰაზრეთი დავუდი – მჭედელი, ჰაზრეთი მუჰამმედი (ს.ა.ს.) პაცარაობისას ბიძის ცხვრებს აბალახებდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ალლაჰს მშრომელი ხალხი უყვარს. მეც ყველა მიყვარხართ ბავშვებო.





ამიტომაც მინდა, რომ წარმატებულები იყოთ.

აჰმეთი და ყველა მისი მეგობარი მოხიბლა ამ საუბარმა. ყველა აღელვებული იყო. გადაწყვიტეს, შემდეგ გამოცდამდე მეტი ემეცადინათ. ყველამ რვეულში დაწერა, ამ თემაზე რასაც ფიქრობდა. გაკვეთილის ბოლოს, აჰმეთის რვეულში ასე ეწერა:

მას შემდეგ, რაც სათანადოდ გავირჯები, ალლაჰს დახმარებისთვის მივმართავ, რადგან წარმატება მხოლოდ ალლაჰის დახმარებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ, ალლაჰს მივმართე და მივენდე.

იმ დღეს აჰმეთი სახლში რომ მივიდა, თავისი შეცდომა ოჯახის წევრებს გაუზიარა. აჰმეთის მშობლებს გაუხარდათ, რომ ის შეცდომას მიხვდა და მოინანია.

## დაიმახსოვრეთ

"უთხრა: "ხალხო ჩემო! მაშინ რას იტყვით: თუ ვარ ცხად სამტკიცეზე ჩემი ღმერთისგან და თუ მიბოძა მან საუკეთესო სარჩო-საბადებელი? არ მინდა გამოვირჩეოდე თქვენგან და ვქმნა ის, რისი გაკეთებაც თქვენ აგიკრძალეთ. მინდა მხოლოდ იმის გამოსწორება, რაც შემიძლია. ჩემი წარმატება მხოლოდ ალლაჰზეა. მე მხოლოდ მას ვსასოებ და მისკენ მივიქცევი!" (ჰუდ, 88)



## საკითხავი მასალა:

## მოდუნებული ნუ წევხარ

ერთი კაცი იძულებული გამხდარა, ღამე უკაცრიელ ადგილას დარჩენილიყო. მტაცებელი ცხოველების ეშინოდა და ერთ დიდ ხეზე აცოცდა. ხის ძირში გათიშული მელა დაინახა. დაინტერესდა ეს მელა რას ჭამდა და რას სვამდა.

სწორედ ამ დროს შორიდან ლომი მოდიოდა, რომელსაც პირში ჯეირანი (ქურციკი) ჰყავდა. ლომმა ჯეირანი დაანაწევრა, რაც უნდა ეჭამა, ჭამა, ნარჩენები დატოვა და წავიდა. მელა კი ნარჩენებით დანაყრდა.



ალლაჰი გათიშულ მელასაც კი უგზავნის საკვებს და მშიერს არ ტოვებს. მე რატომ ვიმუშავო და შევიწუხო თავი? მეც ერთ კუთხეში მოვიცდი. რაც არ უნდა იყო, ალლაჰი მეც გამომიგზავნის საკვებს, თქვა კაცმა, რომელიც ხეზე იყო და ერთ გამოქვაბულში ელოდებოდა საკვებს. ერთი, ორი, სამი დღე გავიდა. შიმშილმა მოთენთა, გაითიშა და ჩაეძინა. სიზმარში მას ეუბნებოდნენ: ჰეი ზარმაცო ადამიანო, რას დაწოლილხარ. ადექი და სანამ ჯანმრთელი სხეული გაქვს, იმუშავე. საკუთარი თავი მელას კი არა, ლომის ადგილას წარმოიდგინე. სხვებმა კი შენი მოპოვებული სარჩოს ნარჩენებით ივსებონ.



# ალლაჰმა ყველაფერი იცის

აჰმეთმა გაიღვიძა და უხაროდა ახალი დღის დაწყება. გაკვეთილები ნამეცადინები ჰქონდა და ძალიან მშვიდად იყო. საუზმეზე სამზარეულოში რომ შევიდა, მისი სიხარული დედამაც შეამჩნია. მაშინვე აკოცა დედას ლოყაზე. "დედა ძალიან მიყვარხარ." –უთხრა. შემდეგ მამას აკოცა. მასაც უთხრა, რომ ძალიან უყვარდა და საუზმეს მიუჯდა. თან საუზმობდა, თან ალლაჰს მადლობას უხდიდა, ასეთი წყალობა რომ გამოუგზავნა.

საუზმის შემდეგ ხელები დაიბანა და კბილები გაიხეხა. ხალათი ჩაიცვა და ჩანთა აიღო, რომელიც საღამოს გაამზადა. სკოლაში წასასვლელად გარეთ რომ გადიოდა, დედამ გააფრთხილა:

–შვილო, ოფლიანმა ცივი წყალი არ დალიო, გაცივდები.

–კარგი დედიკო, შევეცდები ყურადღებით ვიყო, – უთხრა და ავტობუსში ჩაჯდა, რომელიც ეზოში მას ელოდებოდა. დღეს მასზე დაკისრებული ყველა მოვალეობა შეასრულა და ისე მიდიოდა სკოლაში. ბედნიერი იყო, რადგან მასწავლებელზე მიცემული სიტყვა შეასრულა.

ზარი რომ დარეკეს, მეგობრებთან ერთად საკლასო ოთახში შევიდა და მერხთან დაჯდა. მასწავლებელი საკლასო ოთახში რომ შევიდა, ყველა ფეხზე წამოდგა და მასწავლებელს მიესალმა. შემდეგ გაკვეთილი დაიწყო. შეიმამ, ერთ–ერთმა კლასელმა, ხელი ასწია და რაღაცის თქმისთვის ნება ითხოვა.

–მასწავლებელო, შეიძლება რაღაც გკითხოთ? გუშინ ცელევიზორში ერთ ფილმს ვუყურე. იმ ფილმში ნათქვამი ერთი წინადადება გონებაში ჩამრჩა და ამას მე თვითონ ვერ ავხსნი.

–კარგი შეიმა, შეგიძლია მკითხო. ვნახოთ ამა ასეთი რა ჩაგრჩა გონებაში. ალბათ შენს ამხანაგებსაც აინტერესებთ, –უთხრა მასწავლებელმა.

შეიმამ დაიწყო:

–მასწავლებელო, კინოში, რომელსაც მე ვუყურე, ერთ კაცს არავინ ასაქმებდა. ეს კაცი დიდი ხნით ციხეში იჯდა. "ბედისწერის მსხვერპლებული ვარ." ასე ამბობდა და წუხდა. მე სწორედ ეს ბედისწერის მსხვერპლებული ვერ გავიგე. ეს როგორ შეიძლება? კაცმა სასჯელი მოიხადა, ციხეში იჯდა და გამოვიდა. მისი ამ ცხოვრებიდან გარიყვა არასწორი არ იქნება?

–შეიმა ასე როგორ შეიძლება? ადამიანი ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს რომ მოიხდის, რა თქმა უნდა მთელი ცხოვრების მანძილზე სხვისგან არ უნდა ისჯებოდეს. ადამიანები ჩავარდნილი რთული სიტუაციიდან უნდა ამოვიყვანოთ, მათ უნდა დავეხმაროთ. რეალურად, ეს ჩვენი, ყველას მოვალეობაა. მოდი დავუბრუნდეთ სიტყვას, ბედისწერის მსხვერპლებულს. არავინაა ბედისწერის მსხვერპლებული. ალლაჰმა სწორი და მცდარი გზა გვიჩვენა. ამ ორი გზიდან ერთ–ერთის არჩევა ჩვენ მოგვანდო. ჩვენ არჩევანის თავისუფლება რომ მოგვანიჭა, მან იცოდა, რასაც ავირჩევდით. ის რომ ალლაჰმა იცის რას გავაკეთებთ, ჩვენ ბედისწერას ვუწოდებთ. ჩვენი სურვილით, გულმავიწყობით ან უყურადღებობით არასწორად თუ მოვიქცევით, ბედისწერას ვერ დავადანაშაულებთ.



ამ დროს მეხცათა ჩაერთო: –მასწავლებელო, ალლაჰმა ჩვენ ჭკუა გვიბოძა. შეგვიძლია



გავარჩიოთ რა არის სწორი და რა არასწორი. ასევე ჩვენი სურვილისამებრ მოქმედების ძალა მოგვანიჭა. იმას ვაკეთებთ, რაც გვსურს. ასე რომ ვერავის დავადანაშაულებთ.

მასწავლებელმა გააგრძელა:

–კარგად მოიქეცი მუსტაფა, რომ შემახსენე. ბავშვებო, ალლაჰმა ყველაფერი იცის. მისი ცოდნა უსაზღვროა. ის ფაქტი, რომ ალლაჰმა იცის რას მოვიმოქმედებთ, სულაც არ გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. რადგან მან ჭკუა მოგვცა, კარგი და სწორი გვაჩვენა. სურს, რომ კარგად მოვიქცეთ და ცუდი საქმეებისგან შორს ვიყოთ. ამიტომაც, არასწორად რომ მოვიქცევით, მართებული იქნება ვთქვათ, "ასეთი ბედი მქონია, ალლაჰმა იცოდა ასე რომ მოვიქცეოდი, ამიტომ მოვიქეცი ასე"?

ფატმანურმა წამოიძახა:

–თუკი არ ვიმეცადინებთ და ცუდ ნიშნებს მივიღებთ, ვერ ვიტყვით, რომ ესაა ჩემი ბედიო. ჩვენი მოვალეობაა ვიმეცადინოთ.

სხვა ბავშვებმაც აიღეს ნება და ისაუბრეს. მასწავლებელი ყურადღებით უსმენდა ბავშვებს. სახეზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო. უნდოდა ეს სიხარული მოსწავლეებისთვისაც გაეზიარებინა.

–ბავშვებო, თქვენით, ყველათი ვამაყობ. სწორად გაგიგიათ. მადლობას გიხდით.

ყველა გაახარა ამ შექებამ. გაკვეთილის დაწყებისას ისე აღელვებულნი იყვნენ, როგორც არასდროს.



muslim georgia



# საკითხავი მასალა:

## განსაცვიფრებელი პასუხი

გემი, რომელიც ოკეანეში მიცურავდა, უბედური შემთხვევის წყალობით ჩაიძირა. მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა. ტალღებმა ეს კაცი პატარა კუნძულზე გაატარიეს. ეს კაცი ამ ადგილიდან გადასარჩენად, სულ ალლაჰს ევედრებოდა. დღეები გადიოდა, მაგრამ არც მომსვლელი ჩანდა, არც წამსვლელი.

მოგვიანებით გადაწყვიტა ქოხი აეშენებინა, წვიმისგან, ქარისგან და მცაცებელი ცხოველებისგან თავის დასაცავად. ხის ტოტებისგან და ფოთლებისგან აგებულ ქოხში, გემისგან გამორიყული კომპასი და კონსერვის მსგავსი ნივთები მოათავსა. ყოველ დღე თევზაობდა, თევზს ამზადებდა, ჰორიზონტს გაჰყურებდა და ალლაჰს გადარჩენისთვის ევედრებოდა.

ერთ დღეს მცენარი წყლის მოსაძებნად სასეირნოდ წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, დაინახა მისი ქოხი ცეცხლის ალში იყო გახვეული. კვამლი ცას სწვდებოდა. თევზის შესაწვავად დანთებული ცეცხლისგან მოედო ცეცხლი. მის თავს დატეხილმა ცუდმა ამბავმა ძალიან გაამრაზა. ამ უკაცრიელ კუნძულზე ქოხიც კი აღარ ჰქონდა, რომ თავი შეეფარებინა.

ჩემო ალლაჰო, ეს რატომ გააკეთე? – ხმამაღლა ამოიკვნესა. მთელი ღამე დარდში გაატარა. მისი ამდენი ვედრების შემდეგ, რატომ არ მოხდა ყველაფერი მისი სურვილისამებრ? ამ ფიქრებში ჩაეძინა. დილით გემის საყვირის ხმამ გამოაღვიძა, რომელიც კუნძულს უახლოვდებოდა. მის გადასარჩენად მოდიოდნენ.

მათ ჰკითხა, ვინც გადაარჩინა:

– როგორ გაიგეთ, რომ აქ ვიყავი?

პასუხმა თან გააოცა, თანაც შეარცხვინა:

– კვამლი დავინახეთ, რომლითაც გვანიშნეთ.









# ყველაფერში არის რაღაც სარგებელი

აჰმეთს ღედისთვის მიცემული სიტყვა დაავიწყდებინა და სკოლაში ოფლიანმა წყალი დალია. მთელი ღამე სიცხე ჰქონდა და დედა დილამდე მასთან იყო. სიცხის დასაწევად თავზე ძმრიან ნაჭერს ადებდა, მაგრამ ვერაფერი შეცვალა. აჰმეთი დილით ექიმთან წაიყვანეს. გაციებულიყო. ექიმმა უთხრა, რომ აუცილებელი იყო რამდენიმე დღე დაესვენა და ერთი ყუთი ნემსი გამოუწერა. აჰმეთს ნემსის ძალიან ეშინოდა. თუმცა ვერაფერს შეცვლიდა. ერთის მხრივ ისიც აწუხებდა, სკოლაში რომ ვერ წავიდოდა. მეორე მხრივ კი დარდობდა, რომ გაკვეთილებს ჩამორჩებოდა და ამხანაგებს ვერ დაეწეოდა. გამოტოვებულ საკითხებს აღადგენდა, მაგრამ მეგობრები ძალიან მოენატრებოდა. ამ ავადმყოფობის გადასატანად მწარე ნემსების მოთმენა ძალიან რთული იყო. ეს იმის სასჯელი ხომ არ იყო, დედას რომ არ დაუჯერა? თუ დედამ მანამდე იცოდა, ავად რომ გახდებოდა?

აჰმეთმა არ იცოდა სახლში დრო როგორ გაეყვანა. ეზოში ვერ ჩადიოდა, თავის ძაღლს, დანდის, ყურადღებას ვერ აქცევდა. ძალა გამოცლოდა. ის ცივი წყალი როგორ დალია? თანაც დედამ როგორ გააფრთხილა. "დედა ალბათ ძალიან კარგად მიცნობს." –გაიფიქრა. ადრეც ხვდება რას გავაკეთებ და არც იმაში ცდება, რაც თავს გადამხდება. შესაძლებელია თუ არა, რომ მხოლოდ იმიტომ გავხდი ავად, დედამ რომ ასე იფიქრა?

თუმცა დედა არ ისურვებს, ავად რომ გავხდე! ასე რომ სურდეს, დილამდე ჩემთან არ იქნებოდა. აჰმეთი საწოლში იწვა და ასე ფიქრობდა თავისთვის. უცებ გუშინდელი საუბარი გაახსენდა სკოლაში. ალლაჰმა მისი უსაზღვრო ცოდნის წყალობით, იცის რასაც მოვიმოქმედებთ. ის ფაქტი რომ ალლაჰმა იცის, არ გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. დიახ, გუშინ შეიმამ მასწავლებელს კითხვა დაუსვა. ამაზე მოაყოლეს ეს საუბარი. შემდეგ გაეცინა. რა სისულელეები მიფიქრია. დედამ უბრალოდ იცოდა, რომ გავთოფლიანდებოდი, მომწყურდებოდა. იმასაც მიხვდა, რომ მომწყურდებოდა, არ შევამოწმებდი ცივი იყო წყალი თუ თბილი ისე დავლევდი. სწორედ ამიცომ გამაფრთხილა.

ამ ფიქრებში იყო, როდესაც დედამ ოთახში ექთანი შეიყვანა. ნემსის დრო მოსულიყო. ძალიან ეცკინებოდა. შეეშინდა. ექთანი ნემსს რომ ამზადებდა, თვალები მაგრად დახუჭა. იფიქრა, რომ ნემსს თუ არ დაინახავდა, აღარ შეეშინდებოდა. ექთანი ნემსს რომ ამზადებდა, აჰმეთმა





მოუჭირა ღედას ხელზე
და უთხრა : "მეორედ აღარ
დავლევ ცივ წყალს, განსაკუთრებით
კი თელიანი რომ ვიქნები მაშინ." ექთანი
რომ წავიდა, დედას მასთან დარჩენა სთხოვა.
ფიქრების მასთან გაზიარება სურდა. დედას აუხსნა
ცოტა ხნის წინ რასაც ფიქრობდა.

დედამ უთხრა:

–დიახ შვილო, არასწორად მოიქეცი და ამიტომაც გახდი ავად. იმიტომ არა, მე რომ გითხარი. აშკარა იყო, რომ სერიოზულად არ მიიღე ჩემი გაფრთხილება. თუმცა, ვფიქრობ რომ აწი თელიანი რომ იქნები, წყალს აღარ დალევ. ზოგიერთ რამეს გამოცდილებით ვსწავლობთ. დაბალი ნიშნის მიღებაც გამოსცადე, რომ არ იმეცადინე. მას შემდეგ მეცადინეობის გარეშე არ წასულხარ სკოლაში.

აჰმეთმა ეს ყველაფერი გაიგო, მაგრამ ერთ რამეს ვერ ეგუებოდა.

–გასაგებია, შეცდომა დავუშვი, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, ავად რომ არ გავმხდარიყავი? –ჰკითხა.

დედას გაეღიმა და უთხრა:

–ალლაჰი ზოგ რამეს ჩვენზე უკეთ ხედავს. ეს არ დაგავიწყდეს. მან უკეთ იცის, რა არის ჩვენთვის კარგი და რა ცუდი. ალლაჰმა თავისი უსაზღვრო ცოდნის წყალობით, ადრევე იცის ყველაფერი. ამიტომაც, არ აქვს აზრი იმაზე ნერვიულობას, თუ რატომ გახდი ავად. ისეთი დაავადება რომ აღმოგაჩენოდა, რომელიც რთულად ინკურნება, ალლაჰმა დაგიფაროს! უნდა ვიფიქროთ, რომ იმაზე უარესებიც არსებობს, რაც ჩვენ გვემართება და ალლაჰს მადლობა გადავუხადოთ. ახლა დაისვენე. მალე გამოჯანმრთელდები და

სკოლაში წასასვლელად ძალა მოიკრიბე. გაკვეთილებსაც ძალიან ნუ ჩამორჩები. ერთ ამბავს მოგიყვები, რომელიც ბავშვობისას გადამხდა:

მეგობრებთან ერთად ეზოში ბურთს ვთამაშობდი. ბურთი სხვა მიმართულებით წავიდა. სწრაფად გავიქეცი ბურთის დასაჭერად. ცოცხაც და გზაზე გადავიდოდა. ამ შემთხვევაში კი მანქანა გადაუვლიდა და გასკდებოდა. მე მივრბოდა და თითქოს ბურთიც გარბოდა ჩემგან. ცოცხაც და გზაზე გადავიდოდა. თითქოს ეს არ კმაროდა, ძირს დავვარდი. ძალიან მეტკინა. თანაც ბურთიც გზაზე გადავიდა. მე ისე გაბრაზებული ვიყავი, რომ დავვარდი ვერც კი შევამჩნიე. მოგვიანებით მეგობრებმა მითხრეს.სწორედ მაშინ, როდესაც ძირს დავვარდი, ჩემ წინ მანქანას ჩაუვლია. ძირს რომ არ დავვარდნილიყავი, კუთხიდან მომავალ მანქანას ვერ დავინახავდი და დამეჯახებოდა.

## დაიმახსოვრეთ

"უთხარი: არაფერი გვეწევა, გარდა, რაც ჩვენზე დაწერა ალლაჰმა. იგია ჩვენი მფარველი. დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი!" (თევბე 51)




OKUL

## შეჯიბრები და შედეგის მოთმინებით დალოდება

აჰმეთმა დილით ადრე გაიღვიძა. დღეს გაკვეთილების მოსამზადებლად ბიბლიოთეკაში უნდა წასულიყო. ოჯახმა ერთად ისაუზმა და მამას, რომელიც სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა, სთხოვა ბიბლიოთეკაში წაეყვანა.

მამამ უთხრა:

–ხომ მშვიდობაა აჰმეთ, დღეს ადრიანად მომზადებულხარ.

–დიახ მამიკო. აღელვებული ვარ, ბიბლიოთეკაში რომ უნდა ვიმეცადინო. ძალიან კარგად უნდა შევასრულო ჩემი დავალება.

–დავალების თემა რა არის აჰმეთ?

–ველრების ადგილი ადამიანის ცხოვრებაში.

–მე მჯერა, რომ ამ დავალებას ძალიან კარგად შეასრულებ.

–კარგი, მაშინ ვიჩქაროთ.

მანქანაში ჩასხდნენ. ბიბლიოთეკაში მივიდნენ. აჰმეთი მანქანიდან ჩამოვიდა. ბიბლიოთეკაში შევიდა. მამას უთხრა, რომ გაუხარდებოდა წამოსვლისას მასაც თუ გაიცნობდა.

ბიბლიოთეკის პერსონალს დაეკითხა, სად შეძლებდა მის თემაზე წიგნის ნახვას. ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა სამეცადინოდ. წიგნები მოამზადა და კითხვა დაიწყო.

მოგვიანებით დაინახა, რომ მის მაგიდას საშუალო ასაკის ბიძა მიუჯდა. მის წინ წიგნებს ათვალიერებდა. ძალიან გაუხარდა, როდესაც დაინახა, რომ აჰმედის თავი წიგნებში ჩაეფლო. სიხარული ვერ დამალა, პატარა წიგნის მოყვარული რომ დაინახა, რომელსაც ასე ძალიან აინტერესებდა კითხვა. აჰმედი შეაქო, ასე რომ უყვარდა წიგნები და მეცადინეობა. ჰკითხა რას იკვლევდა.

–ვედრების ადგილს ადამიანის ცხოვრებაში, –უპასუხა აჰმედმა.

–კარგი თემაა. სკოლის დავალებაა?

–დიახ. ხვალამდე უნდა მოვასწრო.

–თუ გინდა, შემიძლია დაგეხმარო. მე პენსიონერი მასწავლებელი ვარ. თავისუფალ დროს აქ მოვდივარ და წიგნებს ვათვალიერებ. ახალგამოსულ წიგნებს აქედან ვადევნებ თვალყურს და ვცდილობ წავიკითხო.

–ძალიან გამიხარდა. რა გქვიათ?

–მე იავუზი მქვია.

–სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მე აჰმედი მქვია.

–აჰმედ თუკი განსაკუთრებით გაინტერესებს რამე, შენს დავალებასთან დაკავშირებით, შევეცდები გიპასუხო.

–დიახ ბიძია იავუზ. ჩვენ ვვედრებით, მაგრამ ზოგჯერ არ ღებულობს. რა არის ამის მიზეზი?

–არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ვედრებას არ ღებულობს. ალლაჰი ამბობს: "შემევედრეთ და მე მას მივიღებ." სწორედ ამიტომ არასწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ვედრებას არ ღებულობს. ვედრებისას რასაც შევთხოვთ, შესაძლოა მაშინვე არ ახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ მისი დრო არ მოსულა, რადგან ჩვენ ყველაფრის დრო არ ვიცით. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, კარგია თუ ცუდი რაც შევევედრეთ. ჩვენმა გამჩენმა უკეთ იცის ყველაფერი. არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ შევეშვათ ვედრებას, რომ ვედრებისას რაღაც არ აგვიხდა. ეს არ დაგავიწყდეს აჰმეთ, ყველა ვედრებას აქვს თავისი პასუხი.

–ანუ, თუ ჩემი ვედრება მაშინვე არ ახდა, ვედრება არ უნდა შევწყვიტო. ხომ ასეა?

–დიახ, სწორედ მასეა. ვედრების ასახდენად სიჩქარე არ არის საჭირო. ზოგჯერ ალლაჰი ადამიანის მოთმინებას ცდის. ჩვენი სურვილი თუ არ ხდება და ვედრებას შევწყვეტთ, ეს მოუთმენლობის მაჩვენებელი იქნება. შენი აზრით, იმედის გადაუწურავად, მოთმინებით ლოდინი, საუკეთესო ქცევა არ იქნება?

–ვფიქრობ მართალი ხართ. ეს არ მიფიქრია.

–აი მაგალითად: ბავშვობისას ვამბობდი, ნეტავ მასწავლებელი ვიყო მეთქი. ეს სურვილი შემდგომში ამიხდა. გამოდი, რომ ბავშვობაში ჩაფიქრებული ჩემი წრფელი სურვილი, მოგვიანებით ამიხდა.

–ახლა უკეთ გავიგე, რასაც ამბობდით.

–აჰმეთ, ალლაჰს რომ ვევედრებით, მას მთლად უნდა მივენდოთ. როდესაც ვევედრებით, ვიცით, რომ მას ყველაფრის ძალა შესწევს. ადამიანი, რომელიც ევედრება, ამბობს: ჩემო ალლაჰ, მე შენს განკარგულებაში ვარ, რასაც ისურვებ ის გააკეთე. ალლაჰი მუდამ გვისმენს. მან იცის რაც გვსურს. სწორედ ამიტომ გვიჩნდება სურვილის გრძნობა. ზოგჯერ რაც ჩვენ გვინდა, არაა ჩვენთვის სასარგებლო. ამიტომაც, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ვედრება ამ ქვეყანაზევე აგვიხდება.

–გამოდის, ალლაჰს რომ ვევედრებით, გვსურს მისი მოუწონარი რამეებისგან შორს გვამყოფოს და მისთვის სასურველ ადამიანად გვაქციოს.

–დიახ. ალლაჰს, რომელიც ჩვენ უკეთ გვიცნობს, შეუძლია იმაზე უკეთესი მოგვცეს, ვიდრე ჩვენ გვსურს. შესაძლოა ის მოგვცეს, რაც გვინდა, ან საერთოდ არ მოგვცეს. ვერ ვიცყვით, რატომ არ მოგვცაო. ჩვენ ვედრებისას, საკუთარ თავს ჩვენს გამჩენს ვაბარებთ. ჩვენს გულს, ფიქრებს, ოცნებებს. უნდა ვთქვათ: "ჩემო ალლაჰო, შენ უკეთ იცი. მე კმაყოფილი ვიქნები, რასაც ჩემთვის ისურვებ. დამიფარე." შეცოდებისას ალლაჰი ჩვენი ვედრების სანაცვლოდ დაგვიცავს. იჭვნეულად კი არა, არამედ გულწრფელად უნდა მივმართოთ.



–მხოლოდ ალლაჰს შეუძლია შემვედრებელს უპასუხოს. მან ყველაფერი იცის.

–ჩემო ალლაჰო, უსარგებლოს ნუ გვიბოძებ, –თქვა აჰმეთმა. იავუზ მასწავლებელმა "აამიინ" თქვა გულით.

–ბიძია იავუზ, რა კარგია, რომ აქ შეგხვდით. განმანათლეთ. მოვლენები სხვა კუთხით მაჩვენეთ. თქვენი წყალობით, დავალებას მარცხვად შევასრულებ. კითხვებზე მიპასუხეთ, რომლებიც მაწუხებდა. დიდი მადლობა. ალლაჰმა თქვენი საქმეები გაგიმარცხვოთ, –უთხრა.

–არაფრის ჩემო აჰმეთ. ძალიან მიხარია, რომ გაგიცანი. მე კვირის ბოლოს მოვდივარ ბიბლიოთეკაში. დროს რომ ნახავ, შენც მოდი. შენი ნახვა და შენთან საუბარი მეც გამაბედნიერებს, –უთხრა.

აჰმეთი ვერ მიხვდა, დრო როგორ გავიდა. მამამისი დიდი ხანია მოსულიყო და ბიბლიოთეკის ავტოსადგომზე ელოდებოდა. მანქანისკენ რომ მიდიოდა, იავუზ მასწავლებლის გაცნობითა და ახალი ინფორმაციის მიღებით გამოწვეული სიხარული მიჰყვებოდა.


ჩემი და ყველაფრის
გამჩენი ალლაჰია
ანგელოზები, რომლებიც
კეთილი წიგნები,
რომლებიც გზას გვიჩვენებენ